ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი, ფაკულტეტის მისიის შესაბამისად, მიზანმიმართულად ზრუნავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და ინტერნაციონალიზაციაზე.

ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ემყარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზებას და საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში ინტეგრირებას.

კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ბოლონიის დეკლარაციის, სალამანკის მიმართვის, პრაღის და ბერგენის კომუნიკეს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის რეკომენდაციები, აგრეთვე აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტების თანამედროვე მოთხოვნები და ევროპის უნივერსიტეტების მიერ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება.

შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, აკრედიტაციის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ასევე გულისხმობს ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარებას, რომელიც განიხილება როგორც შესაძლებლობა და საშუალება, რათა მოახდინოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე საუნივერსიტეტო საზოგადოების მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში.

ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტმა, საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საჭიროების გათვალისწინებით, გააფორმა მემორანდუმი რიზეს რეჯიფ ტაიპ ერდოგანის უნივერსიტეტთან, რითაც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები თანამშრომლობის კუთხით პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან. დაიგეგმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები საგანმანათლებლო სფეროში, რაც გულისხმობს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულებით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების

ურთიერთგაცნობას, ინფორმაციის გაცვლას განხორციელებად საგანმანათლებლო პროგრამებზე, გამოცდილების გაზიარებას უნივერსიტეტებში დანერგილ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, თანამშრომლობის ერთიანი გეგმის შემუშავებაზე.

მემორანდუმით ასევე გათვალისწინებულია თანამშრომლობა სამეცნიერო კვლევის მიმართულებით. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებაა შავი ზღვისპირა რეგიონში ეროზიული პროცესების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, შავი ზღვის სანაპიროს ეროზიის და ნავსადგურის შემოსასვლელ არხებში დაბინძურების რისკების მართვა. ამ კუთხით აკადემიური პერსონალის კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია როგორც საქართველოს სანაპირო ზოლში, ასევე ზოგადად შავი ზღვის დაბალწყლიანი რეგიონების, მათ შორის თურქეთის სანაპირო ზოლის ეროზიული პროცესებისაგან დაცვის მიზნით. იგეგმება კვლევითი პროგრამების ერთობლივი განხორციელება.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო კვლევის შედეგები ქვეყნდება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და დეკლარირებულია საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებზე. აკადემიური პერსონალის ეს აქტივობა შემდგომშიც გაგრძელდება.

ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაღრმავების მიზნით საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ფარგლებში.